

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება: კარაულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე;

შასი განცხადებები: დასავლეთით ასოზე—8 კაპ., ჩვეულებრივით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ვერტარს არ დაუბრუნდება.

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელოქი შვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელოქი შვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газ. „Дროზა“.

გაზეთის შასი: მთელის წლისა—3 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

დროშა

ცალკე ნომერი ღირს შაშრათ

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროშაზე“

1 სექტემბერიდან ამ წლის დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროშის“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელოქი შვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროშის“ აგენტებთან.

შასი ოთხი თვის გაზეთისა—4 მან.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газетъ „Дроиза“.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

(ოფიციალური)

I

შარაიალი, 26 სექტემბერს. დაღესტნის არეულობა 13 ენკენისთვიდან დაწყებული გავრცელდა შიურინისა და სამურის მაზრებში; ამას გარდა ამ უკანასკნელ დროს ანდიისა და ავარიის მაზრებშიაც ხელ-ახლად აღელდა ხალხი. ძაიტახის აჯანყებულები ორჯერ დაამარცხა დემლაგარიდან მოყვანილმა პოლკოვნიკის ტერ-ასატროვის ატრადმა; პირველად ამ ენკენისთვის 18-ს სოფ. შაია-მენტთან და შემორეჯერ 21-ს სოფ. შემი-მენტთან, სადაც გაცხარებული ბრძოლის შემდეგ დამარცხებული იქნა აჯანყებულებთ გროვა 4 ათასი კაცი.

ამ ორ შეტაკებაში მტერს მოუკალით და დაუჭერიდა 550 კაცი და 300 დაიარაღებული ტყვედ ავიყვანეთ.

ჩვენის მხრით დაჭრილი არიან: 2 აფიცერი და 12 სალდათი და მილიციონერი; დაიკარგა: პარუჩიკი ქრონებერგი და 3 სალდათი.

დაღესტანში ახალი ჯარი იგზავნება მთერგისა და შუბანის მხრიდან.

II

ჩვენებში ამ უკანასკნელ დროს მშვიდობიანობაა. ჩვენი ჯარი ტყვეებში სდევნის აჯანყებულებს, რომელთა წინამძღოლად ში და ალი-ბეგი არიან. აჯანყე-

ბული აულებს—ზადაკის, ბენოის, ტაუზენისა და სხვების მცხოვრებნი ბარში გადმოვასანლეთ.

III

შარაიალი, 27 ენკენისთვეს. ცნობა, რომელიც 22 ენკენისთვეს ტელეგრამით იყო გამოგზავნილი, 20-სა 21-ს სექტემბერს დაჭრილ-მოკლულების შესახებ, ეს ცნობა გაზვიადებული გამოდგა: იმდენი მოკლულები არ აღმოჩნდა, რამდენსაც მაშინ ვიწერებოდით; როგორც ნამდვილ ცნობებს შეეკრებთ, იმწამსვე შევატყობინებთ. ოსმალოების მხრით კი 6,000 კაცზე მეტია დაჭრილ-მოკლულთა რიცხვი.

ოშის აჯანყები

აზიის ბრძოლის ველიდან

ამ თვის 15-ს რომ ტერ-ლუკასოვის ატრიადს სოფელს ხალჭალუსთან შეტაკება დაჭრილ-დაღუპულთა შესახებ, ამის თაობაზე გაზეთს „Голос“-ში (№ 221) იწერებია:

„როგორც სტამბოლიდან მოსული დებეშა, აგრეთვე ჩვენი ოფიციალური ტელეგრამაც ერთხმად გვაცნობებენ, რომ შირვანის ატრიადს უკუ-უქცევია იზმაილ-თაშის ჯარები, რომელნიც ამ 15 ენკენისთვეს დაეცნენ იმას, და შეიღვერსზე მისდიეს უკანაო.“

„მაგრამ რას მივაწეროთ, რომ ჩვენი ჯარი ამის შემდეგ კიდევ მაინც უკან დაბრუნებულა და თავის ძველ პოზიციებზე დამდგარა?..“

ჩვენ შევიტყეთ, რომ 13 აგვისტოს შარაიალთან ბრძოლის დროს დაჭრილი იქაური ჩვენი ცხენოსანი ჯარის უფროსი ლენ-ლერიტ. თ. ზ. შავჭავაძე ამ ქამად სრულიად განთავისუფლებულა და დაჭრილობისაგან და უკვე დაბრუნებულა უკან თავის თანამდებობის მისაღებად.

თუ რამდონათ გაამაყდნენ და გადიდგულდნენ ოსმალოები, ამ რამდონიმე გამარჯვების შემდეგ, ამის დასამტკიცებლად სომეგევენ შემდეგი სიტყვები, რომელიც სტამბოლის გაზეთს „ბასირეტ-ში“ არის დაბეჭდილი და აქედამ რუ-

სულს გაზეთში „მოსკოვის უწყებებში“ გადმობეჭდილი:

„შველასთვის ცხადია ახლა, რომ გამარჯვება ჩვენკენ არის (?). მთელი შეროპა გაკვირებულია ჩვენი სამხედრო და ზნეობითი ძალით. შველასე უფრო კირუსები უნდა იყვნენ გაკვირებულნი, ის რუსები, რომელნიც ამჟამად იქადადნენ და გვემუქრებოდნენ, რომ გამოცხადებთ თუ არა ომს, ერთ თვეზე სტამბოლს ავიღებთ.“

ჯერ კიდევ გაცხარებული ომია, ჯერ კიდევ კაცმა არ იცის ბოლოს ვინ დარჩება გამარჯვებული, და ახლაც ამისთანა მოთხოვნის გამოცხადება, მეტი რომ არა ესთქვათ, სულ-მოკლეობის ნიშანია... მაგრამ ამ გვარი მოთხოვნის იმ ჰაზრების საწინააღმდეგო უნდა ჩაითვალოს, რომელსაც სოფიერთი ერთობ აჩქარებული რუსისა და ნემეცის გაზეთებში აცხადებენ—ოსმალოების განაწილეობა შესახებ.

იგდირელი კორრესპონდენტი პარიტის გაზეთის „Le Temps“-ში სიტყვებით აგვიწერს შირვანის კორპუსის მოქმედებას:

„ბაიაზეთის გარნიზონის განთავისუფლების შემდეგ, ტერ-ლუკასოვის ჯარი ისეთნაირად დაქანცული და დასუსტებული იყო, რომ მტრისაკენ წინა წასვლა აღარ შეეძლო. ამის გამო ეს ჯარი იგდირში მოიყვანეს დასასვენებლად და აქვე გაშავდნენ.“

„ამის შემდეგ თვითონ იზმაილ-თაშამ გამოიწია წინ და დაიჭირა საუკეთესო სტრატეგიული ალაგები პარატის მთიდან ისმულჯანამდინ. მთავარი ძალა კი თავის არმიის იზმაილ-თაშამ ალი-პოჩაღთან გააჩრა, ზორის მთებზე, იგდირიდან 20 ვერსის მოშორებით.“

„ამ დროს ტერ-ლუკასოვსაც ახალი ჯარები მოუვიდა იგდირიდან მუკანდაიწია თითქმის ორმოც ვერსზე და თვითონ იგდირში კი პალკოვნიკი სამოილოვი დაატრევა კვიდი ბატალიონით ქვეითა ჯარითა, რეასი ცხენოსანი ყაზახით და 14 ზარბაზნით.“

ოსურგეთიდან გვიწერენ, რომ ამ ქამად ჩვენი ბრძოლის ველისაკენ სრული მშვიდობიანობა არის, დღე-ღამე

ზუხა-მსტატედამ და ხუც-შუბნიდამ მო-
წინააღმდეგენი შესწერებთან ერთმანეთს
და თვალ-ყურს ადევნებენ, რომ უც-
რად თავს არ დაეცნენ.

ამბობენო, გვეწერს იქაური ჩვენი კორ-
რესპონდენტი, რომ ღერვი-ფაშას ხელ-
ქვეით ამ ჟამადხუც-შუბანში, ციხის-ძირ-
ში და ბათუმში ბევრი-ბევრი 10-12 ათა-
სი კაცი თუ იქნება, მეტიარაო და ამით
ახსენება იმის ასე გაჩერებაო.

მეზღვის ბრძოლის ველიდა

ამას წინათ რომ ოსმალოს 20-მა
ბატალიონმა (12,000 კაცმა) დიდ-ძალი
სურსათითა და ტყვია-წამლით გააპო
რუსების ატრიადი პლევნოსთან და ამ
ქალაქში შევიდა ოსმან-ფაშის მისაშვე-
ლად, ამის თაობაზე ლონდონის
გაზეთის „Times“-ის ბუხარესტელი კორ-
რესპონდენტი სხვათა შორის ამბობს:

„ეს ამბავი ახლა რუსის ოფიციალუ-
რი ცნობიდანაც გამართლდა. ჩვენ გვა-
კვირვებს, რომ რუსებმა, რომელთაც
იცოდნენ, რომ ოსმან-ფაშის მისაშვე-
ლებლად შეეკეთ-ფაშისაგან ოსმან-
ფაშის გამოგზავნილი ჯარი მიდიოდა, ყო-
ველ-გვარი ღონის-ძიება არ იხმარეს და
ამ ჯარს დროზე გზა ვერ შეუტკრეს.

„ამბობენ, რომ რუსის ჯარი, რომე-
ლიც ამ ატრიადს დაუხვდა გზაზე, ერ-
თობ ცოტა იყო და ამას გარდა ორ
ცეცხლს შუა მოხვდაო, რადგან ამ
დროსვე ოსმან-ფაშამაც გამოგზავნა 12
ბატალიონი თვითონ პლევნოლამ.“

ამავე „Times“-ის კორრესპონდენტს

ველტონი

ბრიგოლ რჩეულოვი

ეს თვის 20-ს ჩვენს ქალაქში გარდა-
იცვალა უეცარის ავადმყოფობით ქარ-
თველი მწიგნობარი და დიან კარგათ
დახელოვნებული და გაცნობილი ჩვენს
ძველს, ისტორიულს და აგრეთვე ეხლან-
დელ ჩვენს ცხოვრებასთანაც და მდგო-
მარეობასთან უფ. ბრიგოლ რჩეულოვი.

მიცვალეულმა იმდენი შრომა და
ღვაწლი დასდვა ქართულ ლიტერატუ-
რისათვის, რომ იმის დაკარგვა, უეჭვე-
ლად, ყველა ამ ლიტერატურის მოყვა-
რესათვის დიან სამწუხაროთ უნდა ჩაი-
თვალოს და ამავე ლიტერატურას მო-
ვალეობა აქვს, რომ ის ორიოდ სიტ-
ყვით მაინც მოიხსენიოს.

ბრიგოლ რჩეულოვი დაიბადა 1820
წელს ქ. თფილისში პატრიარქის მამისა
და დედისაგან. მამამ მისმა პატარა ბრი-

გემდეგი ცნობები მოჰყავს პლევნოსთან
და პლევნაში დამდგარ მოწინააღმდეგეთ
ჯარზედ:

„რუსებს და რუმინებს, პლევნოს რომ
პირველად მიაღწენ, სულ 80,000 კაცი
ჰყვანდათ. აქედამ უკანასკნელი 25,000
დახოცილები და დაჭრილები მოაკლდა
ამ არმიას; მაშა სადამე ამ ჯარიდამ
50,000 კაცზე მეტი აღარ იქნება დარ-
ჩენილი.

„ოსმან-ფაშას პლევნაში 60,000 ჯა-
რი ჰყვანდა, რომლიდანაც 10—12 ათას-
ზე მეტი არ დაჰკლებია ბრძოლაში. თუ
ამას კიდევ 12,000 კაცს მიუმატებთ,
რომელიც ოსმან-ფაშის მოუვიდა იმას,
მაშინ დავრწმუნდებით, რომ ორთავე
მოწინააღმდეგეთ ძალა პლევნასთან თით-
ქმის თანასწორია და რადგან ამას გარდა
ეს ქალაქი სავანგებოთ არის გამაგრე-
ბული, იმის აღება რუსებისაგან თით-
ქმის შეუძლებელად უნდა ჩავთვალოთ.“

მეროპიულ გაზეთებში და, სხვათა
შორის, ჩვენს გაზეთშიაც იყო ამას წი-
ნათ გამოცხადებული, რომ მგვიბტეს
პრინცი ჰასანის რამდენიმე ათასი კაცით
სილისტრიასთან ღუნაის მარცხენა ნა-
პირზე (რუმინიაში) გადავიდაო.

ეს ამბავი, როგორც ახლა იწერებიან,
ტყუილი გამოდგა. მართალია, ოსმა-
ლოები ემზადებიან თურმე გადასვლას,
რომ რუმინის რკინის გზებზე გააფუიონ
და ამნაირად რუსეთიდან მომავალ ახალ
ჯარსა და სურსათს გზა შეუტკრან; მაგ-
რამ ჩვენს ჯარებს ყოველ გვარი ლო-

გოლს დაუწყო შინ მზადება და როცა
სწავლაში მიცემის დრო მოუვიდა, იგი
შეიყვანეს მაშინდელს თფილისის გიმ-
ნაზიაში. 1838 წელს იმან გაათავა ეს
სასწავლებელი და შევიდა სამსახურში
თფილისის სახაზინო პალატაში.

თუმცა ბრიგოლ რჩეულოვს უმაღ-
ლესი სწავლა არ მიუღია; მაგრამ აქაც
ისეთის გულს-მოადგინებობით მოჰკიდა
ხელი მწიგნობრობას, რომ მან კარგათ
გაიცნო მეზღვის ლიტერატურა და გან-
საკუთრებით ჩვენი წარსული საუკუნეების
ცხოვრება და მდგომარეობა.

1852 წელს, თფილისში რომ ქარ-
თული ჟურნალის „სისკრის“ გამოცემა
გამოცხადდა, თ. ბიორგი პრისთვის რე-
დაქტორობის ქვეშ, იმ დროს გამოჩნდა
ჩვენში რამდენიმე ისეთი პირი, რომ-
ლებმაც მისცეს სრული იმედი ჟურნა-
ლის გამომცემელს; თვითონ თ. ბ. პრის-
სთვის გარდა მაშინდელს „სისკარში“
მუშაობდნენ: თ. ალექ. მრბელიანი,

ნის-ძიება მიუღიათ, რომ ღუნაიზე არ
გადაუშვან ოსმალოები.

მაშენს „Голосъ“-ში დაბეჭდილია
შემდეგი მენილამ 19 სექტემბერს მიღე-
ბული დეკრეტი:

„ბუხარესტიდამ ამბავი მოვიდა, რომ
ცესარევიჩის არმიას დაუმარცხებია მდ.
პარა-ლომთან მეჰმედ-ალი-ფაშის ჯარი
და ამ შეტაკებაში ოსმალოების მხრით
2,000 კაცი არის დაჭრილ-მოკლულიო.“

მაგრამ „მოსკოვის შუყებები“, რომე-
ლიც ჩვენ, თფილისში, პეტერბურღის
გაზეთებზე ერთი დღით უფრო ადრე
გვატყობინებს ახალ ამბებს, ამბობს, რომ
ეს ამბავი მართალი არ გამოდგაო, ცე-
სარევიჩისა და მეჰმედ-ალი-ფაშის არმი-
ებს ამ უკანასკნელ დღეებში შეტაკება
არ ჰქონიათო.

საქართველო

„დროისის კორესპონდენცია“

ჟუთაისი, 24 ენკენისთვეს. მადლობა
ღმერთს, რომ ამ უკანასკნელ დროს
ძრიელ იკლო ჩვენში მუცელამ, რომე-
ლიც, მგონი, არასოდეს არ ყოფილა აქ
ასე სასტიკათ გაგრცელებული. იკლო
სხვა სენებმაც.

შინ იცის რამდენ ათას მსხვერპლს
მოსტაცებდა ჩვენ ხალხს მუცელა, რომ
მას არ გამოსჩენოდა ამ გაჭირებულ
დროზედ ენერგიული და უანგარო და-
ხმარება უფ. დოქტორის ბაბოვისა, რომ-
მელმაც გულ-მტკიენული თანაგრძნო-
ბა და ყოველ გვარი შემწეობა, რაც
კი სინილისიან და მცოდნე ექიმს შეუ-

სარდ. ალექსეი-მისხვიევი, პლ. იოსელი-
ანი, პ. სავანელი. მაგრამ თითქმის ყი-
ფლა ამათზე უფრო მომეტებული მონა-
წილეობა ამ ჟურნალში მაშინ ბრიგოლ
რჩეულოვმა მიიღო, რომლის ნაწერები
მთელი ორი წლის განმავლობაში იბე-
ჭდებოდნენ შეუწყვეტლათ. ამ ნომერ-
შია დაბეჭდილი ერთი მოთხრობაცა
რუსულიდამ ნათარგმნი, სახელდობრივ
„შეცდომა მასკარადში“.

1854 წელს თ. ბ. პრისთვის „სის-
კარი“ შეჩერდა 1857 წლამდინ და ამ
1857 წელს კი უფ. ივანე პერესელიძის
რედაქტორობით დაიწყო გამოსვლა ხელ-
ახლავ თვე-და-თვე თითო წიგნმა.

ამავე წელიწადს მიიღო „სისკარში“
უფ. რჩეულოვმა დაახლოებული მონა-
წილეობა და აღუთქვა თანამშრომლო-
ბა. სხვათა შორის, 1857 წელს დაიბეჭ-
და „სისკრის“ წიგნებში უფ. რჩეულო-
ვის ერთი მშვენიერი მოთხრობა, სა-
ხელდობრივ „მერივის ლიმონე-

ძლია, აღმოუჩინა. ჩვენ ღარიბ გლეხ-კაცობას ეს შემწეობა მარტო წამლობის, ე. ი. რეცეპტების წერის და პირადი დარიგების გარდა ხშირად იმაშიც მდგომარეობდა, რომ მატერიალური ღონისძიებაც მიეცა ღარიბი ავთომყოფებისათვის და უზომოდ შრომა გაეწია.

ამისათვისაც არ არი გასაკვირველი, რომ დღეს თითქმის ყველა გლეხ-კაცი მუთაისის მაზრაში განსაკუთრებითი მაღლობით და სიყვარულით იხსენიებს დოქტორი ბაბოვის სახელს.

ისეთი შექთხევა ჩვენში, მგონი იშვიათი ყოფილა, რომ რომელიმე ექიმს უანგარ თანაგრძნობა გამოეჩინოს ხალხისადმი და არც ის არის გასაკვირველი, რომ მაგიერად ჩვენი დაბალი ხალხი დაუნდობლათ უცქერის ექიმის მოქმედებას... ბლენ-კაცებისათვის რომ გერჩიათ ექიმის მოხმობა მისი მძიმე ავთომყოფისთვის, ის მაშინვე მოგაძახებდა: „რა ჩვენი საქმეა, ბატონო, დოქტორი? ის ჩვენი როგორ გაიჩვენება, ან იმდენი ფული ვინ მოგვცა, რომ ის დაეკმაყოფილოთ!“

მით უფრო საგრძნობელი დარჩა მათთვის უ. ბაბოვის მაგალითი, რომელმაც კიდევაც გაისარჯა, თანაგრძნობითაც ხელი მოჰკიდა საქმეს და ფულიც არ მოსთხოვა უიმისოთაც გაჭივრებულ ავთომყოფს.

მართალია, ზემომოყვანილი გარემოების გამო, მუცელა იმდენათ დაცხრა ჩვენში, რომ ის დღეს ხალხის უბედურებას აღარ შიადგენს; მაგრამ ამავე დროს, თითქმის განგებ, ისეთმა პირუ-

ტყვის კირმა ამოჰყო თავი, რომელიც მუსრს აეღებს მთელ ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებას. დღეს მთელს მუთაისის გუბერნიამში ისეთი აღარაინ არას, რომ ღრმათ დაფიქრებული არ იყოს თავის მომავალ ბედზედ, ეკონომიურ მდგომარეობაზედ და მწარე ნაღველი არ ედოს გულზედ მისი შინაური პირუტყვის ამოწყვეტით. შიკრობს ჩვენი ხალხი თავის გამწარებულ მდგომარეობაზედ, მაგრამ თავისი ღონით ვერა მოუხერხებია-რა.

ჩვენი ვეტერინარები ფორმალურათ ყველაფერს შერებიან, რაც კი მათგან კანონით მოითხოვება; მაგრამ მათ მოქმედებას, როგორც დაფუძნებულს მარტო ფორმალურ მხარეზედ და ხშირათ პირად ანგარიშებზედ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ხალხისათვის.

აბა, რა გამოეა აქ, თქვენი კირიმე, რომ უეზდის უფროსებმა კიდევაც გაისარჯონ და მეოთხედ თაბახ ქალაღზედ ბრძანება უბოძონ მამახალისებს, რომ მკედარი პირუტყვები ღრმათ დაასაფლონ, თუ რომ ამავე დროს არავითარ ყურადღებას არ მიაქცივენ იმას — თუ რამდენათ ასრულებენ იმათ განკარგულებას? თუ არ გაიჩვენებან, რომ თვითონ ან მათმა თანაშემწეებმა აუხსნან ხალხს, სოფლის საზოგადოებას და გააგებინონ ის ზომები, რომელნიც აუცილებლათ საჭირონი არიან ამ სამწუხარო დროში?

მე შემემთხვა აქ ცოტა ხანში ზოგიერთ სოფლებში ყოფნა, სადაც ეს სწეულება მეტათ გავრცელებულია. ასობით

იხოცებიან პირუტყვები, და მკედარი პირუტყვები კი აქა-იქ წყნან-წყნანდ მინდერებზედ, საურმე გზებზედ და მდინარე წყლებში და თავის სიმყრალით მთელი სოფლის ჰავას აფუტებდენ.

მამახალისი კი, მკოდნე ყველა ამ გარემოებისა, ყურსაც არ იბერტყავდა და იმაზედ იყო მზრუნავი, რომ შეესყიდა სასაწარკვეთილ მცხოვრებლებისგან მათი უავთმყოფო პირუტყვები იაფ ფასათ სამხედრო მეიჯარადრეებისათვის მისასყინდათ დიდი მოგებით.

ამგვარ ხალხისაგან ჩვენ არასოდეს არ გვჰქონია არავითარი შეება და ღირის შემსუბუქება და არც ახლა უნდა მოველოდეთ...

ი. — ლი
(დასასრული შემდეგ №-ში)

უსხო ქვეყნები

საზრანგათი

შრანტუზულ გაზეთებში იწერებიან, რომ მარშალი მაკ-მაჰონი კენჭის-ყრის წინა დღეს კიდევ მეორე მანიჭესტის გამოცხადებას აპირებსო. როგორც ამბობენ, ამ მეორე მანიჭესტს, რომელიც პირდაპირ მეკენჭეებისაკენ იქნება მიმართული, ის მნიშვნელობა ექმნება, რომ გაჰკიცხოს როგორც ბურბონების, აგრეთვე ბონაპარტიელების პარტია და უფრო აშკარად გამოაცხადოს თავის საკუთარი პოლიტიკური მიმართულება და განზრანება.

— როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი, რესპუბლიკურმა პარ-

ტი“, რომელიც ჩვენი წარსული საუკუნის დამღვესა და მეფე მრეკლეს დროებას შეეხება; ამ მოთხრობაში მეფე მრეკლეს იჯახია გამოყვანილი.

1858 წელს დაიბეჭდა ერთი მოთხრობა: „მოტყუებულ ბრილიანტი“ და სხვა-და-სხვა სტატიები და ლექსები.

1859 წელს დაიბეჭდა მისივე სცენები, ლექსები და ანეგდოტები.

1860 წელს დაიბეჭდა მისი ერთი ისტორიული მშვენიერი მოთხრობა და აგრეთვე მრავალი სტატიები და ლექსები.

1862 წლის „ცისკრის“ ნომრებში დაბეჭდილი იყო მშვენიერი ისტორიული მოთხრობა „თამარ საქართველოს ბატონის შვილი“, რომელიც ქართველ საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო.

1863 წელს დაიბეჭდა იმისივე მშვენიერი თარგმანი „აეროა“, ინგლი-

სური რომანი რუსულიადამ ნათარგმნი, და სხვა-და-სხვა სტატიები.

1864 წელს დაასრულა ეს რომანი და ამავე წელიწადს იბეჭდებოდნენ მისგან დაწერილი წვრილი სტატიები.

1865 წლის ნომრებში დაიბეჭდა შემოკლებით თარგმანი ტრაგედიისა „ნორმა“ და შემოკლებით მაკედონის ისტორია და აგრეთვე სხვა-და-სხვა სტატია და ლექსები.

1866 წელსა მთელი წლის განმავლობაში ყოველს ნომერში იბეჭდებოდა ერთი დიახ მშვენიერი რომანი თარგმანი: „აღსარება მარიონ დელორმისა“ და სხვა-და-სხვა სტატიები და ლექსები.

ამ წლის შემდეგ მიცვალბამდინ უ. რჩეულოვს მონაწილეობა აღარ მიუღია ჩვენს ლიტერატურაში, თუმცა თვალყურს კი ადევნებდა ადგილობრივ მწერლობას და ნამეტნავათ ქართულ მწიგნობრობასა.

აი ეს არის ორიოდ სიტყვით ნათქვამი იმის ხანგრძლივი და დაუძინებელი შრომა ქართულის ლიტერატურისათვის.

წარსულს წლებში ჩვენ ბევრისაგან გაკვრით გავიგია, რომ უფ. რჩეულოვს ერთი რაღაც ისტორიული რომანი დაუწერიაო, რომელსაც ყველა თავის რომან-მოთხრობებს ამჯობინებსო. ამბობენ, ვითომც თვითონვე ეთქვას, რომ მე ამისთანა არაფერი დამიწერიაო.

რაღა თქმაუნდა, რომ მიცვალბებულის ნათესავეები და მეგობრები ჯეროვან ყურადღებას მიაქცივენ, რომ, არათუ მარტო ეს ხსენებული რომანი, არამედ საზოგადოათ ყველა იმის ხელ-ნაწერები არ დაუკარგონ ქართულ მწიგნობრობასა და შთამომავლობას.

ზ. მ — ლი

თფლისი, 25 სექტემბერს

ტიამ ზრევის სთხოვა ეკისრა ტიერის ადგილი, ე. ი. ამ პარტიის მოთაფობა და ხელმძღვანელობა. პარტიის გაზეთს „Le Temps“-ში წერებთან ახლა, რომ შულ ზრევი, როგორც ეტყოდა, კისრულობს ამ მოვალეობასაო.

განცხადებანი

თფილისის თავად აზნაურთა საადგილ-მამულო განის ზადამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე, ამ განცხადების წესდების § 83 მუხლის ძალითა და 23 ენკინისთვის დადგენილის განაჩენის საფუძვლით, აცხადებს, რომ იმ საგნებს გარდა, რომელნიც მომავალ 10 დღინობისთვის საზოგადო ძრებაზე უნდა განიხილონ განის დამწესებელთა, კიდევ შემდეგ საგანზე იქნება სჯა:

მიღებულ იქმნენ, თუ არა, განის წევრებად და დამწესებლებად ის თფილისის გუბერნიის ადგილ-მამულის მოპატრონე თავად-აზნაურნი, რომელთაც გლეხების განსათავისუფლებელი ფული მიიღეს და რომელნიც ახლა ისურვებენ მთელი იმ ფულის ერთად შემოტანას განის, რომელიც 29 ნოემბრის 1872 წლის საზოგადო ძრების პროტოკოლის ძალით იმათ უნდა შემოიტანონ.

(3-2)

გ ლ ო ვ ა

ირაკლი გორისა

თქმული სოლომონ მსაჯულისაგან მამოცემული შაკარია შიჭინძისაგან ისყიდება შართანოვი წიგნის მალაზიოზ, ფასი ერთი შაური

კავკასიის განყოფილება გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის რედაქციისა და კანტორისა

(თფილისში, ბოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლში) იღებს (ა). სტატიას, კორექსორდინაციას და ტალფარაზულ ცნობას შესანიშნავს აწყო შემთხვევებზედ, ბ). ხელის-მოწერას გაზეთს „ГОЛОСЪ“-ზე ყოველგვარის ვადითა და ბ) ყოველგვარ სახაზინო და კამო განცხადებათ საზოგადოთ გასაგებს ენებზედ.

გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის ცალკე №№ (ეგზემპლიარი ორ შაურად) ისყიდება:

ა). თფილისში: I და II განყოფილებაში უფ. გ. ი. აზნაურის მალაზიებში (ბოლოვინის პროსპექტი, მდივანის სახლში) და ბრძანებულთა (Кавказская Книжная Торговля) — წიგნის მალაზიებში.

ბ). ქუთაისში — ს. ჩომახიძისთან (ტაბერაფიაში)

გ). ვლადიკავკაზში — უფ. წილოსანთან. ამას გარდა განყოფილება მოიწიან კომისიონერებს კავკასიის აქეთა და იქითა მხრის ადგილებში გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის ცალკე №№ განსყიდვებად.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახლგარდა)

მრევის მადანზე, წინამძღვროვის სახლებში. ავთამუფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღისხვე 10 საათამდე.

მ. რ. შაბათს: ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიული ავთამუფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთამუფობისათვის.

ს. ვ. შაბათს: მერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავთამუფობისათვის, თამაშევი — თვალის ექიმი.

მ. თ. შაბათს: ლისიცივი — შინაგანი ავთამუფობისათვის, მუხარაბიცი — ვენერიული ავთამუფობისათვის.

ხ. თ. შაბათს: მერმიშევი — შინაგანი ავთამუფობისათვის.

პ. რ. ა. ს. კ. ე. ს. ლისიცივი და სსატუროვი — შინაგანი ავთამუფობისათვის და მინკიევიჩი — ხირურგიულითვის.

შაბათს: მერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავთამუფობისათვის, მუხარაბიცი — ყურის და ხირურგიული ავთამუფობისათვის და თამაშევი — თვალის ავთამუფობისათვის.

დაიგეჟდა და გამოვიდა სტამბილა

ლ. ე. ს. ი. ჩოლაყაშვილის

გარდაცვალებაზედ

თავის სურათით

თქმული

და ეით მიტომევილისაგან ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მალაზიებში.

ფასი ყველგან ორი შაური.

მეხუთე კარი

„შარამანიანი“

მამოვიდა და ისყიდება თფილისში: მელეიშვილის სტამბაში და სხვა წიგნის მალაზიებში. სპარსული დგან ქარაულს ენაზე ხათარგანი თავის სურათებით. ფასი 40 კაპ. (ორი აბაზი). აგრეთვე ისყიდება შემოსხვებულ ადგილებში I, II, III, და IV კარი შარამანიანისა.

მ. თ. ა. ი. ს. შ. ი. გუბერნიის სტამბაში სვიმონ ჩომახიძისთან.

რ. კ.	გ. ზ. ა.	დ. ლ. ა.	ს. ლ. ა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18				მ. ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 19 ენკენის.		თფილისი, 26 ენკენის.	
მცხეთა	10 11	6 27	7 68	38		ქუთაისს, ფოთს . . .	1	ქუთაისი, 19 ენკენის.		ფე. თფ. ბანკისა, ფოთ.	1 90
ბორი	11 58	9 43	2 40	1 23		ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ქუთაისი, 24 ენკენის.	78	შევილი წითელი . . .	1 45
ხაზური	1 29	11 57	3 92	2 18		როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	პარიჟში 259 ანტიმი.	81	ქერი ფუთი . . .	1 25
სურამი	1 44		4 42	2 46		პეტერბურგს, პარშევას . . .	2	სეკონტი (სარგებლისუსანი)	7 1/2	ბამბა ქრევისა, ფუთი . . .	8 20
შვირილი	5 49		5 81	3 23		მსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი . . .	8 50
რიონი	6 47		6 75	3 75		იტალიაში და საფრანგეთში	3 50	მოგებიანი (პირველისესხი)	208 25	ბაპენტილი ბამბა ფო . . .	9 50
სამტრედია	7 41		7 73	4 29		ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე სესხი)	208 75	მატული ფუჭური ფო . . .	7
ახალციხე	—		8 57	4 76		ფოჭტა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფო . . .	3 50
ფოთი	9 40		9 75	5 42		ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდ. ორშ. და სამშ. მსურ. — პარსკე და ორშ. ქახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარსკე.		თფილ. საზნ. ბანკისა.		პბრეშუმი მუხურის სტ.	3
ფოთი	9 13							ხერსონის ბანკის (5%)	85 25	შონი, ფუთი . . .	5 80
ბე-სენაკი	—		1 18	66				მოსკოვის (5%) . . .	85 50	შონის სანთელი ფუთი . . .	8
სამტრედია	11 16		2 6	1 14				სეკციები:		სტეარინის სანთელი, ფ.	12 54
რიონი	12 13		3 4	1 69				მდესის სავაჭრო ბანკის	177	ხორცი შოხისა, ლიტ.	54
შვირილი	1 18	ლაშე	3 98	2 21				ფოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხერისა, ლიტრა . . .	63
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96				შაი ზღვის ტყვ. გემების	527	სპირტი, გრადუსი . . .	12
ხაზური	5 39	1 37	5 84	3 24				ქაგუზის და მერკულის . . .	225	შაქარი, ბროც. ფუთი . . .	8 20
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9				პირგ. საზღვევ. საზოგ.	745 50	— ფენილი ფუჭი . . .	7 20
მცხეთა	8 50	6 59	9 8 5	4				პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	შავა გრგვალი, ფუთი . . .	26
თფილისი	9 31	7 56	9 75	42				მოსკოვის საზღვევ. საზ.	258	ზეთი ქუჭუჭისა ფუთი . . .	12